ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 10 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 27

დ. ხარაგაული

10 დეკემბერი 2021 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

პაატა გოგოლაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პავლე კიკალიშვილი - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკ კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე - საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

შალვა ლურსმანაშვილი - საკრებულოს ფრაქცია „ ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

დავით დევდარიანი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

ნინო მაღლაკელიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო - სახაზინო განყოფილების უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

საკრებულოს აპარატი:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მარიამ შარიქაძე - ა.(ა) ი. პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი,

მანანა ბაბლიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა.

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

   მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

   მომხს: პეტრე შარიქაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის N 3 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: პავლე კიკალიშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 11 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

6. საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრების, მასზე გამოთქმული შენიშვნების მიღებისა და უარყოფის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პავლე კიკალიშვილმა, რომელმაც დასვა შეკითხვა იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საექიმო ამბულატორიები ირიცხება თუ არა მუნიციპალიტეტის ბალანსზე.

ვლადიმერ გელაშვილმა უპასუხა, რომ ზოგი საექიმო ამბულატორია მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, ზოგი კი არა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2021 წლის 16 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე-10

წინააღმდეგი-0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2021 წლის 16 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე - 10,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ. (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

დავით კიკნაძემ, რომელმაც საკითხის მომხსენებელს მიმართა, რომ სოფელ ჩხერში სადაც აფხაზეთის ომის მონაწილე, გმირი გია ლურსმანაშვილი ცხოვრობდა, დღემდე არ გაკეთებულა საუბნო გზა და მოუწოდა დროზე გაეკეთებინათ ხსენებული გზის პროექტი.

პეტრე შარიქაძემ უპასუხა, რომ აუცილებლად გაკეთდებოდა აღნიშნული საუბნო გზის პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2021 წლის 16 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე - 10,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: მოისმინეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პავლე კიკალიშვილი ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის N 3 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე. (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2021 წლის 16 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე - 10,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 11 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე. (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2021 წლის 16 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

მომხრე - 10,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია საკითხზე- საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2021 წლის 16 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

მომხრე - 10,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკითხი შეტანილ იქნეს 2021 წლის 16 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს რიგგარეშე სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**